ირიდენტიზმი vs სეცესია: ავტონომია და პოლიტიკური ელიტა (აფხაზეთის, ყირიმისა და მთიანი ყარაბაღის შემთხვევების შედარებითი ანალიზი)

მარიამ წურწუმია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

(საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ წურწუმია

17.06.2025

აბსტრაქტი

კვლევა მიზნად ისახავს ცენტრალური სახელმწიფოს, ავტონომიური ერთეულისა და მონათესავე სახელმწიფოს პოლიტიკური ელიტების მიერ იმპლემენტირებული სტრატეგიების მსგავსი და განსხვავებული მახასიათებლების ანალიზს. ნაშრომში შესწავლილია ირიდენტიზმისა და სეცესიის კონცეფციები; მათი გამომწვევი ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები; განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პოლიტიკური ელიტებისა და ავტონომიის როლზე კონფლიქტების მიმდინარეობისას.

საკვლევი პროცესისათვის იმპლემენტირებული იყო როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები (შერეული მეთოდოლოგია). თვისებრივი მიდგომის ფარგლებში განხორციელდა სამაგიდო კვლევა, შემთხვევის შესწავლა, შემთხვევების შედარებითი ანალიზი, პროცესზე მიდევნების მეთოდი, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები და დისკურს ანალიზი. მიღებული ემპირიული ინფორმაცია შედარებითი ანალიზის ტექნიკით იქნა დამუშავებული. რაოდენობრივი ნაწილი ეყრდნობა კონტენტ-ანალიზით აგებულ დიაგრამებს, რაც კონფლიქტის მხარეების შესწავლილი ნარატივების ცხად ვიზუალიზაციას აკეთებს. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა პოლიტიკური ელიტების მიერ ავტონომიის ინტერპრეტაციისა და გამოყენების გზები, მათი ნარატივები და ექსპერტთა მოსაზრებები. კონტენტ-ანალიზმა გამოავლინა თითოეული მხარისთვის დამახასიათებელი საკვანძო სიტყვები და ფრაზები, რომლებიც ასახავს კონფლიქტის აღქმას. დისკურს-ანალიზმა ცხადყო, რომ ავტონომია არ არის სეცესიისა და ირიდენტიზმის უნივერსალური მიზეზი, თუმცა პოლიტიკური ელიტების მიერ მისი ინსტრუმენტალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონფლიქტების ესკალაცია-დეესკალაციაზე. გარდა ამისა, ყურადღება დაეთმო ეგზოგენურ ფაქტორებს, მათ შორის რუსეთის როლს განხილულ სამ კონფლიქტში.

კვლევამ აჩვენა, რომ პოლიტიკური ელიტები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ეთნიკური ჯგუფების მობილიზაციასა და ირიდენტისტული/სეცესიის მიზნების განხორციელებაში, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სიმბოლოების

კონსტრუქციის/ინსტრუმენტალიზაციის გზით. პოლიტიკური ელიტების სტრატეგიული არჩევანი ავტონომიის გამოყენებასთან, ნარატივების კონსტრუირებასა და ეგზოგენურ ფაქტორებთან ერთად, გადამწყვეტ როლს თამაშობს ირიდენტისტული და სეპარატისტული მისწრაფებების განვითარებაში და საბოლოო პოსტ-კონფლიქტურ შედეგებზე.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, ირიდენტიზმი, სეცესია, ავტონომია, პოლიტიკური ელიტები.

Abstract

The study aims to analyze the similar and different characteristics of the strategies implemented by the political elites of the Host state, autonomous entity and Kin state. The study showed the different post-conflict outcomes of the conflicts in Abkhazia, Crimea and Nagorno-Karabakh. The paper examines the concepts of irredentism and secession; their endogenous and exogenous factors; special emphasis is placed on the role of political elites and autonomy in the course of conflicts.

Both qualitative and quantitative methods (mixed methodology) were implemented for the research process. Within the framework of the qualitative approach, desk research, case study, process observation method, discourse analysis and semi-structured interviews were carried out. The information obtained was processed using the technique of comparative analysis. The quantitative part is based on diagrams constructed through content analysis; Which clearly visualizes the studied narratives of the conflict parties. The study analyzed the ways in which political elites interpret and use autonomy, their narratives, and expert opinions. Content analysis identified keywords and phrases characteristic of each party that reflect the perception of the conflict. Discourse analysis revealed that autonomy is not a universal cause of secession and irredentism, although its instrumentalization by political elites has a significant impact on the escalation-de-escalation of conflicts. In addition, attention was paid to exogenous factors, including the role of Russia in the three conflicts under consideration.

The study showed that political elites play a crucial role in the mobilization of ethnic groups and the implementation of irredentist/secession goals through the construction/instrumentalization of political institutions and symbols. The strategic choices of political elites, together with the use of autonomy, the construction of narratives, and exogenous factors, play a crucial role in the development of irredentist and separatist aspirations and the ultimate post-conflict outcomes.

Keywords: conflict, irredentism, secession, autonomy, political elites.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში ჩართვის, რეკომენდაციებისა და კრიტიკული შენიშვნების, რჩევების გაცემისთვის, მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს ნინო ფავლენიშვილს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს. მისმა ჩართულობამ გახადა აღნიშნული კვლევა საინტერესო და ღირებული.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო დარგობრივ ექსპერტებს, რომლებიც დამთანხმდნენ ინტერვიუზე და მომაწოდეს საჭირო, საინტერესო ინფორმაცია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.